

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA-2008) სტანდარტული მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს **რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)**. რეგიონული მშპ გვიჩვენებს დროის გარკვეულ პერიოდში (წელიწადი, კვარტალი) ქვეყნის რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას საბაზრო ფასებში.

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოიცავს ყველა ინსტიტუციურ სექტორს ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის დროის გარკვეულ პერიოდში რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება საბაზრო ფასებში.

წარმოების მეთოდით რეგიონული მშპ უდრის მთლიან დამატებულ ღირებულებას დამატებული პროდუქციაზე გადასახადებსა (დამატებული ღირებულების გადასახადი, იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი) და სუბსიდიებს შორის სხვაობა.

რეგიონული მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს რეგიონში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას.

მთლიანი გამოშვება რეგიონების მიხედვით არის წელიწადის ან კვარტალის განმავლობაში რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა საბაზრო ფასებში.

მთლიანი გამოშვების შეფასება მოცემულია საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, რითაც ფაქტობრივად ხორციელდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩათვლელად.

პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში = ბრუნვა + კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება - დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე + სუბსიდიები პროდუქტებზე +/- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება +/- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება +/- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება. ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მინოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღირებულებებს შორის სხვაობა.

შუალედური მოხმარება განისაზღვრება, როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. შუალედური მოხმარება არ მოიცავს წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მოხმარებას.

შუალედური მოხმარება = საქონლისა და მომსახურების ყიდვები - საქონლისა და მომსახურების ყიდვები უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის +/- ნედლეულის და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება.

რეგიონული მშპ გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

- მონაცემები არაფინანსური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა);
- მონაცემები შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლები (საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და სტატისტიკური გამოკვლევა - მონაცემები შრომის შესახებ);
- სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი პროდუქცია (საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის დეპარტამენტის სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).